

# საქართველო-რუსეთი:

გამყოფ ხაზზე მიმდინარე მოვლენების პოლიტიკური, სამართლებრივი და ჰუმანიტარული განზომილება

# Россия-Грузия:

Политические, правовые и гуманитарные последствия событий на разделительной линии

აღნიშნული ნაშრომი გამოდის პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „კონფლიქტის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით

Данное исследование издается в рамках проекта «Грузино-российский диалог для мира и сотрудничества». Проект осуществляется при финансовой поддержке министерства иностранных дел Великобритании в рамках программы «Фонд урегулирования конфликтов»



2014

[www.regional-dialogue.com](http://www.regional-dialogue.com)  
[www.caucasianhouse.ge](http://www.caucasianhouse.ge)

  
Foreign &  
Commonwealth  
Office

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი  
კავკასიური  
სახლი  THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS  
CAUCASIAN  
HOUSE

# საქართველო-რუსეთი:

გამყოფ ხაზზე მიმდინარე მოვლენების პოლიტიკური,  
სამართლებრივი და ჰუმანიტარული განზომილება

# Россия-Грузия:

Политические, правовые и гуманитарные  
последствия событий на разделительной линии

### **კვლევის ავტორები:**

**გიორგი შაიშმელაშვილი** – „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლის“ ანალიტიკოსი;  
**ტატო ხუნდაძე** – „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლის“ პროექტის კოორდინატორი;  
**გიორგი გობრონიძე** – „რეგიონული განვითარების და თანამშრომლობის ინსტიტუტის“ დირექტორი.

### **АВТОРЫ ИССЛЕДОВАНИЯ:**

**ГИОРГИЙ ШАИШМЕЛАШВИЛИ** – Аналитик, Центр культурных взаимосвязей «Кавказский дом»;  
**ТАТО ХУНДАДЗЕ** – Координатор проекта, Центр культурных взаимосвязей «Кавказский дом»;  
**ГИОРГИЙ ГОБРОНИДЗЕ** – Директор «Института Регионального развития и Сотрудничества».

## წინასიტყვაობა

საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული კონფლიქტური ვითარების გათვალისწინებით, 2011 წლიდან „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრმა – კავკასიურმა სახლმა“ დაიწყო აქტიური მუშაობა ქართულ და რუსულ საზოგადოებებს შორის მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით.

ეს პროცესი რამდენიმე კომპონენტს აერთიანებს, მათ შორისაა ახალგაზრდა ქართველი და რუსი ანალიტიკოსების კვლევები, სამუშაო ვიზიტები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში, შეხვედრა-სემინარები ორივე ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურებისა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან, საერთო ვებ-გვერდი და ა.შ.

2013 წელს, კვლევითი მიმართულების ფარგლებში, მომზადდა ორი პოლიტიკის დოკუმენტი, ათზე მეტი სტატია და შეიქმნა ერთობლივი ქართულ-რუსული ანალიტიკური ბიულეტენი. (მასალების ნახვა შესაძლებელია აქ: [www.regional-dialogue.com](http://www.regional-dialogue.com)).

წინამდებარე ნაშრომი აღნიშნული პროცესის გაგრძელებაა. იგი შეიქმნა პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „კონფლიქტის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევაში გაანალიზებულია საქართველო – რუსეთის ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი, გამყოფ (საოკუპაციო) ხაზზე არსებული ვითარება და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური, სამართლებრივი და ჰუმანიტარული საკითხები.

**აღნიშნული ნაშრომი გამოდის პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „კონფლიქტის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით**

პუბლიკაციის შინაარსი არ გამოხატავს დიდი ბრიტანეთის მთავრობის აზრს.  
პუბლიკაციის შინაარსი გამოხატავს ავტორთა პირად მოსაზრებებს.

## ქართულ-რუსული ურთიერთობების დინამიკა 2012 წლის ოქტომბრის შედეგად

საქართველოში, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ახალი მმართველი ძალა, კოალიცია „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, რომელმაც ერთ-ერთ გაცხადებულ საგარეო პოლიტიკურ მიზნად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მონესრიგება დაისახა.

მთავრობის ფორმირებისთანავე კოალიციამ დაიწყო, როგორც სიმბოლურ, ისე პრაქტიკულ დონეზე შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.

თბილისსა და მოსკოვს შორის დაწყებული, პრაქტიკულად, პირველივე კომუნიკაციის შემდეგ ცხადი გახდა დიალოგის ფილოსოფია – მხარეები შეთანხმდნენ გვერდი აუარონ მწვევე პოლიტიკურ საკითხებს (ე.წ. „წითელი ხაზებს“) და ცდილობენ, თანამშრომლობა ააწყონ იმ სფეროებში, სადაც ეს შესაძლებელია<sup>1</sup>. ასეთად კი გამოიკვეთა – ჰუმანიტარული, სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანსპორტო მიმართულებით მუშაობა.

განვლილი ერთი წლის მანძილზე, ორმხრივ ურთიერთობებში მიღწეულია გარკვეული პროგრესი:<sup>2</sup>

- ქართული ღვინო, მინერალური წყლები და სოფლის მეურნეობის პროდუქცია იწყებს ეტაპობრივ დაბრუნებას რუსეთის ბაზარზე<sup>3</sup>;
- მიუხედავად ფსიქოლოგიური დისკომფორტისა, თბილისი სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას თანხმდება;
- გვარდება ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო და საავიაციო კომუნიკაციის კუთხით არსებული პრობლემები: გაიზარდა ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გამტარუნარიანობა;
- ხდება ჰუმანიტარული და კულტურული კავშირების ინტენსიფიკაცია.<sup>4</sup>

აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი ხდება არსებითად შეცვლილი პოლიტიკური რიტორიკის ფონზე, როდესაც ორ ქვეყანას შორის არსებულ კონფრონტაციულ ენასა და სიმბოლიზმს სულ უფრო მეტად ანაცვლებს თანამშრომლობის დისკურსები.

დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ მხარეთა კონსტრუქციული პოზიცია, „წითელი ხაზების“ გვერდის ავლით ხელი შეეწყობს თანამშრომლობის გაღრმავებისა და ნდობის მშენებლობისათვის, პრაგმატულ და სწორ პოლიტიკურ გათვლებს ეფუძნებოდა. რამდენად შეუწყობს ხელს ამ პოლიტიკის შედეგად შექმნილი ახალი ურთიერთქმედების ჩარჩო მწვავე პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხებზე მსჯელობის დაწყებას და გარკვეული გამოსავლების ძიებას, უახლოეს პერიოდში გახდება ცხადი.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ „ჰუმანიტარული“ და „პოლიტიკური“ საკითხების ამგვარი გამიჯვნა, არსებითად პრობლემურია და უსასრულოდ ვერ იმუშავებს. ამ ვითარებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდის და როგორ მოხდება ამ ორი თემის („ჰუმანიტარული“ და „პოლიტიკური“) გადაკვეთა.

<sup>1</sup> „შევთანხმდით, რომ გარკვეულ თემებზე ვერ ვთანხმდებით. დასაწყისისთვის სასაზღვროდ განვსაზღვრეთ სავაჭრო, ჰუმანიტარულ-კულტურული ურთიერთობების საკითხები და რეგულარული საავიაციო მიმოსვლის აღდგენის თემა“ – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ გრიგორი კარასინთან პირველი შეხვედრის შემდეგ. Front News, 14 დეკემბერი 2012.

<sup>2</sup> ეს არა ერთხელ აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძემაც: „Я думаю, что у нас есть определенный прогресс. В частности, по тем направлениям, которые мы изначально обсуждали в формате диалога. В области торгово-экономических связей, коммуникаций, культурно-гуманитарной сфере мы продвинулись вперед“. Зураб Абашидзе: Постараемся приблизиться к “красным линиям”; <http://gorchakovfund.ru/news/9053/>

<sup>3</sup> საქართველოს ხელისუფლების ოპონენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით მიღწეული შედეგი არის, არა რუსეთის ფედერაციის კეთილი ნება და ურთიერთობების გადატვირთვის შედეგი, არამედ რუსეთის ფედერაციის მიერ აღებული ვალდებულებების ნაწილი - „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის“ (WTO) წინაშე. მოცემული პუბლიკაციის ავტორები არ იზიარებენ ამ პოზიციას და მიაჩნიათ, რომ მოკლე ვადებში ამ საკითხების მოგვარება, სწორედ უკანასკნელ ხანს დაწყებული ქართულ-რუსული დიალოგის შედეგია.

<sup>4</sup> ამ მიმართულებით, კვლავაც მნიშვნელოვან დაბრკოლებად რჩება საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის ფედერაციის ვიზების მიღების პრობლემა. თუმცა არსებული დინამიკის ანალიზი გვაძლევს საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ ვიზების გაცემა მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიისათვის გამარტივდება. (ავტ). ჯერ კიდევ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა „არაოფიციალური კონტაქტების“ მეორე რაუნდის შემდეგ, რომელიც შედგა ქალაქ პრალაში 2013 წლის 1 მარტს, რუსულმა მხარემ დაადასტურა, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან სავიზო რეჟიმის გამარტივების შესაძლებლობა განხილულ იქნა შეხვედრის ფარგლებში. МИД России, Сообщение для СМИ О встрече статс-секретаря – заместителя Министра иностранных дел России Г.Б.Карасина со специальным представителем Премьер-министра Грузии по вопросам отношений с Россией З.Абашидзе, 02.03.2013, [http://www.mid.ru/brp\\_4.nsf/newsline/9C-DA548E676130E744257B22001F9C76](http://www.mid.ru/brp_4.nsf/newsline/9C-DA548E676130E744257B22001F9C76).



სოფელი ხურვალეთი, მეზობლები ეხმარებიან მავთულხლართების მიღმა დარჩენილ ვანიშვილების ოჯახს

უკანასკნელი პერიოდის გამოცდილება აჩვენებს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს გამყოფ ხაზზე<sup>5</sup> არსებული ვითარება და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური/უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხები.

## გამყოფ ხაზზე არსებული ვითარება

2008 წლის აგვისტოს ომისა და რუსეთის ფედერაციის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივად აღიარების შედეგად შექმნილი ჩიხური ვითარებიდან გამოსავალი უახლოეს და

საშუალოვადიან პერსპექტივაში არ ჩანს. ამას აცნობიერებენ, როგორც თბილისში, ისე – მოსკოვში<sup>6</sup>. მეორე მხრივ, სრულიად ცხადია, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა შეუძლებელი იქნება უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის გაღრმავების გარეშე. ამ მიმართულებით არსებულ ვაკუუმს კიდევ უფრო ამძიმებს გამყოფ ხაზზე არსებული ვითარება. კერძოდ, ე.წ. „საზღვრების დემარკაციის პროცესი“ და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური და ჰუმანიტარული პრობლემები. პარადოქსულია, რომ ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა 2013 წლის თებერვლიდან – ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზების პარალელულად.

## სტატისტიკა და კონკრეტული შემთხვევები 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მონაცემებით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, შიდა ქართლში გამყოფი ხაზის საერთო სიგრძეა, დაახლოებით, 350 კმ. აქედან მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე გადის 128 კმ, გორის რაიონზე – 92 კმ, ქარელის რაიონზე – 60 კმ და საჩხერის რაიონზე – 70 კმ. ამ დროისთვის დაახლოებით 30-35 კილომეტრია „დემარკირებული“. ანუ საერთო პერიმეტრის 10%.

დღეისათვის 50-ზე მეტ ოჯახს უშუალოდ შეეხო მავთულხლართებისა და მესერის გავლება (მოუნია სახლკარის დატოვება, შეეზღუდა საკარმიდამო და სახნავ-სათესი მიწებით სარგებლობის უფლება, საგვარეულო სასაფლაოზე მისვლის შესაძლებლობა და სარწყავი ნყლით სარგებლობის უფლება).

გაცილებით მეტია **გამყოფი ხაზის ორივე მხარეს**, იმ ადამიანთა რაოდენობა, ვისაც შეეზღუდა:

- გადაადგილების თავისუფლება;
- საკუთრების უფლება;
- სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება;
- ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან ურთიერთობის შესაძლებლობა;
- ეკონომიკური აქტივობის შესაძლებლობა.

<sup>5</sup> ტერმინი „გამყოფი ხაზი“ გამოყენებულია „საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიაში ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: Правительство Грузии Государственная Стратегия в отношении оккупированных территорий Вовлечение путем сотрудничества <http://www.smr.gov.ge/docs/doc212.pdf>. ამასთანავე, ტერმინი გამოყენებულია საქართველოს მთავრობის 257 დადგენილებაში, სადაც სუბარია „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“: [http://www.government.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=276&info\\_id=38490](http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=276&info_id=38490).

ამ საკითხზე აგრეთვე იხილეთ: რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის კომენტარი: <http://ghn.ge/news-98692.html>.

<sup>6</sup> „მე ვერ წარმომიდგენია ნაბიჯი უკან, მე უბრალოდ ის ვერ წარმომიდგენია“ განაცხადა ვლადიმერ პუტინმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების კომენტარებისას და იქვე დასძინა: „მაგრამ ეს საქართველოსათვისაც, გარკვეულწილად, წითელი ხაზია, რომლის გადალახვაც საქართველოს ასევე არ შეუძლია. იმიტომ რომ ის იბრძვის, როგორც თავად საქართველო მიიჩნევს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის.“ ვლადიმერ პუტინის ინტერვიუ ლუსსია თოდაყისთან, 11 ივნისი. „Мы не строим иллюзий, что проблемы можно быстро решить. Особенно те, что связаны с конфликтными регионами – Абхазией и Южной Осетией“. Зураб Абашидзе: Постараемся приблизиться к «красным линиям»; <http://gorchakovfund.ru/news/9053/>.

**ქვემო ნიქოზი:** მავთულხლართი გავლებულია 2-3 კმ-ზე. აქედან დიდი ნაწილი თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. შედეგად, რამდენიმე ადგილობრივი ოჯახის სახნავ-სათესი მიწა ნაწილობრივ ან სრულად მოხვდა გამყოფი ხაზის მეორე მხარეს.

**გუგუთიანთკარი:** რამდენიმე ოჯახს შეეზღუდა სახნავ-სათესი მიწით სარგებლობის უფლება. ამავე დროს მოხდა საცხოვრებელი კარ-მიდამოს ორად გაყოფა.

**დიდი ხურვალეთი:** ამ სოფელში მავთულხლართი გაივლო მთლიანად თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. შედეგად სამი ადგილობრივი მოსახლის საცხოვრებელი სახლი, საკარმიდამო და სოფლის მეურნეობის მიწები ნაწილობრივ ან სრულად მოხვდა გამყოფი ხაზის მეორე მხარეს.



დათა ვანიშვილი, სოფელი ხურვალეთი

**დვანი და სოფელი ატოცი:** დაახლოებით 10-12 კმ-ზეა გავლებული მავთულხლართი. აქედან სოფ. დვანში რამდენიმე მონაკვეთზე თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, რის შედეგადაც მოხდა საცხოვრებელი სახლებისა და სასოფლო სამეურნეო ნაკვეთის შუაზე გაყოფა. ამავე დროს გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მოხვდა საირიგაციო სისტემა (სარწყავი არხი).<sup>7</sup>

**სოფელი აძვი:** რუსმა მესაზღვრეებმა მავთულხლართები სოფელში 2013 წლის სექტემბერში გაავლეს, რის შედეგადაც ბარიერებს მიღმა 4 ჰექტარი მიწა მოექცა.<sup>8</sup> ხოლო დაზარალებული ოჯახი მოსავლის აღებას ვეღარ ახერხებს.<sup>9</sup> მიწების გარდა აძველებს სხვა პრობლემაც აქვთ – მავთულხლართებს მიღმა აღმოჩნდა სოფლის სასაფლაო.<sup>10</sup>

**სოფელი დიცი:** 2013 წლის 27 მაისს დაიწყო მესერის და არა მავთულხლართის გავლების პროცესი. დიცში, გამყოფი ხაზის გასწვრივ, რკინის კონსტრუქციების გავლება 7 სექტემბერს განახლდა. სამუშაოების შედეგად რამდენიმე ოჯახს საგვარეულო სასაფლაოსთან მისასვლელი გზა ჩაეკეტა.<sup>11</sup>

**სოფლების მერეთი-ქსუისის მონაკვეთი:** მესერი გავლებულია დაახლოებით 3 კმ-ზე. ამავე დროს მესრის გასავლებად მომზადებულია დაახლოებით 600 მეტრიანი მონაკვეთი;

**სოფელი საკორინთლო:** მიმდინარეობს მესერის გავლების პროცესი. ამჟამად გავლებულია დაახლოებით 500 მეტრი.

**სოფლები: თვაურები და ახმაჯი:** ამჟამად გავლებულია დაახლოებით 500 მეტრი.

**სოფელი მეჯვრისხევი:** პროცესი დაიწყო 2012 წლის გაზაფხულზე, თუმცა გააქტიურდა 2013 წლის ივნისის ბოლოს. ამჟამად შეღობილია დაახლოებით 800 მეტრი.

**სოფელი დირბი:** პროცესი დაიწყო 2013 წლის აგვისტოში. 2013 წლის სექტემბრის მონაცემებით გავლებულია 200 მეტრი.

**სოფელი ჯარიაშენი:** აქაც პროცესი დაიწყო 2013 წლის აგვისტოში, 2013 წლის სექტემბრის მონაცემებით გავლებულია 500-600 მეტრი.

<sup>7</sup> „ნივილ-კვილით არაფერი გამოვა“ – დვანელების პასუხი ჩასულ სტუმრებს; შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი, 07.10.2013 <http://qartli.ge/web/14900>

<sup>8</sup> როდის გაჩნდა აძვის მავთულხლართები?! შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი, 08.10.2013 <http://qartli.ge/web/14929>

<sup>9</sup> რუსმა ოკუპანტებმა მავთულხლართები გორის რაიონის სოფელ აძვშიც გაავლეს; ტაბულა, 08.10.2013, <http://www.tabula.ge/ge/story/75507-rusma-okupantebma-mavtulxlartebi-goris-raionis-sofel-adzvshic-gaavles>

<sup>10</sup> ქეთევან ციხელაშვილი: აძვში მავთულხლართების გაბმის პროცესი 2009 წელს დაიწყო; 09.10.2013, <http://reportiori.ge/?lang=1&menuid=2&id=5491>

<sup>11</sup> რუსი სამხედროები სოფელ დიცს შუაზე ყოფენ; 17.09.2013, <http://news.ge/ge/news/story/64298-ditsshi-rusi-samkhedroebi-akhali-saokupatsio-sazghvrebs-amontazheben>



## დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებისა და რუსი სამხედროების მიერ უკანონო თავისუფლების აღკვეთის ფაქტები ე.წ. „სახელმწიფო საზღვრის“ გადაკვეთის ბრალდებით

ე.წ. „საზღვრის დემარკაციის“ გარდა, გამყოფ ხაზზე არსებულ უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ პრობლემებს აღრმავებს ადგილობრივ მცხოვრებთა თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტები სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებისა თუ რუსი მესაზღვრეების მიერ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2009 წლიდან 2013 წლის ჩათვლით ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით, შიდა ქართლის გამყოფ ხაზთან დაკავებულია საქართველოს 536 მოქალაქე.

აქედან 2013 წელს დაკავებულია ყველაზე მეტი, 142 მოქალაქე. (იხ. ცხრილი)

ცხინვალის რეგიონის მიმართულებაზე ოკუპაციის ხაზის დარღვევისთვის დაკავებული საქართველოს მოქალაქეები	
წელი	დაკავებულთა რაოდენობა
2009	84
2010	71
2011	135
2012	104
2013	142

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და [www.opendata.ge](http://www.opendata.ge)

ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის“ მიზეზით, მოსახლეობის დაკავება ძირითადად ხდება სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას (საქონლის მწყემსვა, შემის ჭრა და ა.შ.). დაკავების შემდეგ რუს მესაზღვრეებს საქართველოს მოქალაქეები ცხინვალში გადაჰყავთ და ჯარიმის გადახდის შემთხვევაში, რაც 2000 რუბლს (60 USD)<sup>12</sup> შეადგენს, დაკავებულებს ათავისუფლებენ. დაკავების ხანგრძლივობა სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავდება. თუმცა უნდა აღინიშნოს ბოლო დროს გამოკვეთილი ერთი დადებითი ტენდენცია, რომელზეც ისაუბრა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა (2014 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში): „სამწუხაროდ, დაკავებების დინამიკა შემცირებული არ არის, სამაგიეროდ, წინანდელისგან განსხვავებით, ამჯერად ქართველებს ცხინვალის ციხეში ყოფნა უფრო ცოტა ხანს უწევთ“.<sup>13</sup>

### მხარეთა არგუმენტები მოსკოვისა და ცხინვალის პოზიციები:

2009 წელს რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება “სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვრის დაცვის ერთობლივი ძალისხმევის შესახებ”.<sup>14</sup> ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია, განხილულ იქნეს ამ ტერიტორიის პირველ ეტაპზე აღიარებისა და შემდგომში მისი სახელმწიფოებრიობისათვის ხელშეწყობის კონტექსტში. ეს ხელშეკრულება ერთგვარი გაგრძელებაა 2008 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ყოვლისმომცველი შეთანხმებისა, რომელიც რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ

<sup>12</sup> ცხინვალში ორ ქართველს ბრალს რამდენიმე საათში წაუყენებენ, 18.07.2013 <http://pirveliradio.ge/?newsid=6682>

<sup>13</sup> პაატა ზაქარეიშვილი - სიტყვა “ჯონჯოლი” მსოფლიო კონფლიქტოლოგიის ჰედლაინებში შევიდა: <http://www.interpressnews.ge/ge/politika/238853-paata-zaqareishvili-sityva-qjonjoliq-msoflio-konfliqtologiis-hedlainebsi-shevida.html?ar=A>

<sup>14</sup> Соглашение между Российской Федерацией и Республикой Южная Осетия о совместных усилиях в охране государственной границы Республики Южная Осетия, 30 апреля 2009 года, <http://archive.kremlin.ru/text/docs/2009/04/215691.shtml>

ოსეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს განსაზღვრავს.<sup>15</sup>

საზღვრის დაცვის შესახებ ხელშეკრულების განხორციელების დაწყების შემდგომ (რასაც თავდაპირველად ჰქონდა ფრაგმენტული ხასიათი) რუსეთმა და სამხრეთ ოსეთმა დაიწყეს აღნიშნული გადაწყვეტილების მართებულობის დასასაბუთებლად შესაბამისი არგუმენტაციის შემუშავება. აქტიური სამოქალაქო თუ დიპლომატიური დისკუსიის ფონზე გაჩნდა სხვადასხვა ტიპის არგუმენტი, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ასახავს მოსკოვისა და ცხინვალის ოფიციალურ პოზიციებს, ზოგიერთში კი, საექსპერტო წრეების ნააზრევს წარმოადგენს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 4 ოქტომბრის განცხადებაში<sup>16</sup> გაკრიტიკებულია ნატო-ს, ევროკავშირისა და აშშ-ის უწყებების, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ე.წ. „საზღვრის“ მშენებლობის შესახებ გაკეთებული განცხადებები. ტექსტის თანახმად, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არიან დამოუკიდებელი სახელმწიფოები, შესაბამისად რუსი მესაზღვრეების მიერ ჩატარებული სამუშაო სრულად ჯდება ამ ორ სუბიექტსა და რუსეთის ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ჩარჩოში. მეორე მხრივ, განცხადების მიხედვით, საზღვრის დემარკაციის პროცესი მიმართულია მიმდებარე ტერიტორიაზე ინციდენტების აღსაკვეთად. კერძოდ, ორივე მხრიდან საზღვრის უკანონოდ დარღვევის ფაქტების შემცირებისკენ. ამ არგუმენტის გასამყარებლად განცხადებაში მოყვანილია ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მიერ წარმოებული სტატისტიკა, რომლის მიხედვით, საზღვრის დარღვევის ფაქტები მნიშვნელოვნად შემცირდა მავთულხლართების გავლების შემდგომ. 2013 წლის 10 სექტემბერს ეუთო-ს სხდომაზე გამოსვლისას, რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ანდრეი კელინმა განაცხადა, რომ თუ ადრე დღეში ფიქსირდებოდა საზღვრის დარღვევის ათობით შემთხვევა, ივლის-სექტემბრის პერიოდში დაფიქსირდა სულ 38 ფაქტი,<sup>17</sup> რაც, მისივე მოსაზრებით, რეგიონში სტაბილიზაციაზე მიუთითებს.

ცხინვალის განმარტებით, მათ შესთავაზეს თბილისს მოლაპარაკებების დაწყება საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის შესახებ. ეს აღნიშნა კიდევ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელმა პოსტ-კონფლიქტური ვითარების დარეგულირების საკითხებში, მურატ ჯიოევმა; ასეთი შეთავაზება გაკეთდა ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატშიც.<sup>18</sup>

რუსი ექსპერტის, ნიკოლაი სილაევის ინფორმაციით, ოსური მხარე მართლაც მზად იყო საქართველოსთან დაეწყო არაფორმალური მოლაპარაკებები, რათა მომხდარიყო შეთანხმება მინის იმ ნაკვეთების შესახებ, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მფლობელობაშია და დემარკაციის შედეგად საზღვრის მეორე მხარეს ხვდება.<sup>19</sup> მისივე თქმით, ამ ტიპის მოლაპარაკებებისთვის მზად იყვნენ რუსი მესაზღვრეებიც, თუმცა ქართულმა მხარემ უარი განაცხადა როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე.<sup>20</sup>

ოსური მხარის ოფიციალური განმარტებით, დემარკაციის პროცესი მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის რუკების მიხედვით, კერძოდ, სადემარკაციო ხაზი გაივლის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრის გასწვრივ.<sup>21</sup> მათი ოფიციალური პირების განცხადებით, რიგ შემთხვევაში, როცა სადემარკაციო ხაზი გადიოდა ადგილობრივი მოსახლეობის ნაკვეთებზე, რუსმა მესაზღვრეებმა მოახდინეს საზღვრის გადმონევა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის შიგნით, რათა მომხდარიყო პო-

<sup>15</sup> Договор о дружбе, сотрудничестве и взаимной помощи между Российской Федерацией и Республикой Южная Осетия, 17 сентября 2008 года, <http://archive.kremlin.ru/text/docs/2008/09/206582.shtml>

<sup>16</sup> [http://www.mid.ru/BDOMP/Brp\\_4.nsf/arh/24C2DB5D86441F6544257BFA00646284?OpenDocument](http://www.mid.ru/BDOMP/Brp_4.nsf/arh/24C2DB5D86441F6544257BFA00646284?OpenDocument).

<sup>17</sup> ანდრეი კელინის განცხადებით, საზღვრის დამრღვევებს აფრთხილებენ სიტყვიერად ან აჯარიმებენ სიმბოლური თანხით, რომელიც შეადგენს 50 ევროს. Москва отвергает обвинения и оценки действий российских пограничников в Южной Осетии, <http://www.regnum.ru/news/polit/1719934.html>.

<sup>18</sup> Тбилиским журналистам пора бы понять, что Южная Осетия не имеет никакого отношения к «территориальной целостности» Грузии – полпред президента, <http://cominf.org/node/1166499728>

<sup>19</sup> Перспектива нормализации грузино-российских отношений на фоне обстановки вокруг административной границы, <http://regional-dialogue.com/articles/%D0%BF%D0%B5%D1%80%D1%81%D0%BF%D0%B5%D0%BA%D1%82%D0%B8%D0%B2%D0%B0-%D0%BD%D0%BE%D1%80%D0%BC%D0%B0%D0%BB%D0%B8%D0%B7%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%B8-%D0%B3%D1%80%D1%83%D0%B7%D0%B8%D0%BD%D0%BE-%D1%80%D0%BE/>

<sup>20</sup> რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის მოსაზრებით, „მათ მკაფიოდ უნდათ საქართველოს ხელისუფლება ჩართონ მოლაპარაკებებში იმის შესახებ თუ სად გადის საზღვარი. ჩვენთვის ეს ყოველად დაუშვებელია. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არანაირი საზღვარი არ გადის. იქ მხოლოდ გამყოფი ხაზებია და ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ჩავერთვებით იმ თამაშში, რასაც რუსეთი აწყობს.“ <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/20061/>.

<sup>21</sup> სამხრეთ ოსეთის კანონმდებლობის მიხედვით, ამ რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი მოიცავს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიას, <http://cominf.org/node/1166498854>

ტენციური გართულებების თავიდან არიდება. რუსი ექსპერტების ნაწილის მოსაზრებით, არის ისეთი შემთხვევები, როცა დემარკაციის შედეგად ოსური მოსახლეობის ნაკვეთები ხვდება ქართულ მხარეს, თუმცა ასეთი შემთხვევები უფრო ცოტაა.<sup>22</sup>

რუსეთის ოფიციალური პირების აზრით, ქართული მხარე განგებ ცდილობს საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, იმ მოსაზრების კულტივაციის საშუალებით, რომლის მიხედვითაც დემარკაციის პროცესი ხელს უშლის გადაადგილების თავისუფლებას რეგიონში. ეუთო-ში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის ანდრეი კელინის განმარტებით, მხოლოდ 2013 წელს სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის „საზღვარზე“ დარეგისტრირებულია 139 ათასი გადაკვეთა და 30 ათასი ავტომობილი.<sup>23</sup>

2013 წელს, რუსული და ოსური მხრიდან გამყოფ ხაზზე მიმდინარე პროცესების შესახებ თბილისმა არაერთხელ განაცხადა, რომ ეს პროცესი დაკავშირებულია (რე-აქცია) საქართველოს ახალი მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკასთან, რის შედეგადაც სამხრეთ ოსეთში მცხოვრებმა მოსახლეობამ აქტიურად დაიწყო საქართველოს დიდ ქალაქებში სიარული.<sup>24</sup> რუსი ექსპერტების ნაწილი არ ეთანხმება ამ პოზიციას და პროცესის გააქტიურებას ხელშეკრულების დადებიდან სამი წლის შემდეგ უკავშირებს არა საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს, არამედ რუსეთის სახელმწიფოში გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და მათი აღსრულების პრაქტიკას. მათი მოსაზრებით, რუსეთის გეოგრაფიული სიდიდისა და ბიუროკრატიული სისტემის მასშტაბურობიდან გამომდინარე, პოლიტიკური გადაწყვეტილებების აღსრულება, გარკვეულ შემთხვევებში, გვიანდება. ანდრეი სუშენცოვის მოსაზრებით, საზღვრის დემარკაციის პროგრამის აღსრულება, უბრალოდ დაემთხვა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესს და იქცა დამაბრკოლებელ ფაქტორად დიალოგისთვის. მისი აზრით, ეს დამთხვევა აიხსნება მხოლოდ დამხლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის დაგვიანებით.<sup>25</sup>

ოსური და რუსული მხარეები, საქართველოს მთავრობისა და, ზოგადად, ქართული საზოგადოების მწვავე რეაქციას ხსნიან რამდენიმე მიზეზით: საქართველოს მთავრობა თემას იყენებს წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად (იგულისხმება საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის 31 ოქტომბერს). მეორე მხრივ, ოპოზიციაც, ნაციონალური მოძრაობის სახით, ცდილობს ეს თემა აქციოს დამატებითი პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების წყაროდ. ცხინვალში მიიჩნევენ, რომ საქართველოს პოლიტიკურ ძალებს შორის არსებობს ერთგვარი შეჯიბრი, თუ ვინ უფრო მეტად მოახდენს ამ საკითხით სპეკულაციას და ვინ დარჩება პოლიტიკურად გამარჯვებული. ოსური მხარის მეორე არგუმენტს ამ მხრივ წარმოადგენს ის, რომ თემაზე სპეკულირებით, საქართველო ცდილობს რუსეთის პოლიტიკის დისკრედიტაციას რეგიონში და მისი, როგორც ოკუპანტის, იმიჯის განმტკიცებას საერთაშორისო საზოგადოების თვალში.<sup>26</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. „საზღვრის დემარკაციის“ პროცესს რუსული მხარე განიხილავს არა ცალკეულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებად, არამედ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების პოლიტიკის ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლად, რომელიც, მათი აზრით მოიცავს, არა მხოლოდ ამ ტერიტორიების სახელმწიფოებად აღიარების იურიდიულ აქტს, არამედ მათი სახელმწიფოებრიობის ხელშეწყობის გრძელვადიან პოლიტიკას. სწორედ ამ პოლიტიკაში ენერება ე.წ. „საზღვრების დემარკაციის“ შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. მეორე მხრივ, ცხინვალში ამ პროცესს განიხილავს საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების კონტექსტში.<sup>27</sup>

<sup>22</sup> Перспектива нормализации грузино-российских отношений на фоне обстановки вокруг административной границы, <http://regional-dialogue.com/articles/%D0%BF%D0%B5%D1%80%D1%81%D0%BF%D0%B5%D0%BA%D1%82%D0%B8%D0%B2%D0%B0-%D0%BD%D0%BE%D1%80%D0%BC%D0%B0%D0%BB%D0%B8%D0%B7%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%B8-%D0%B3%D1%80%D1%83%D0%B7%D0%B8%D0%BD%D0%BE-%D1%80%D0%BE/>

<sup>23</sup> Москва отвергает обвинения и оценки действий российских пограничников в Южной Осетии, <http://www.regnum.ru/news/polit/1719934.html>

<sup>24</sup> ზაქარეიშვილი: თქვენ გინდათ, რომ 200–300 მეტრის გამო გამოვუცხადოთ რუსეთს ომი? <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/20061/>

<sup>25</sup> “Москва была вынуждена сделать это признание”, <http://www.ekhokavkaza.com/content/article/25136848.html>

<sup>26</sup> Тбилиским журналистам пора бы понять, что Южная Осетия не имеет никакого отношения к «территориальной целостности» Грузии – полпред президента, <http://cominf.org/node/1166499728>.

<sup>27</sup> Концепция национальной безопасности Республики Южная Осетия, <http://cominf.org/node/1166499811> обобщет აგრეთვე: указ президента РФ «О мерах по реализации внешнеполитического курса Российской Федерации» <http://president.kremlin.ru/acts/15256>

## თბილისის პოზიცია

### ა) პოლიტიკური განზომილება

თავისთავად ცხადია, რომ თბილისისთვის არადაამაჯერებელია მოსკოვისა და ცხინვალის მიერ შემოთავაზებული არგუმენტები. მას ეს პროცესი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად მიაჩნია<sup>28</sup>. ამის შესახებ რადენიმე განცხადება გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ეს საკითხი დადგა ჟენევის მოლაპარაკებების უკანასკნელ რაუნდებზეც, სადაც „ხუთ ნოემბერს გაიმართა საინფორმაციო სესია თემაზე: „პრაგმატული მიდგომები გადაადგილების თავისუფლებისადმი“. მონვეულმა ექსპერტებმა მონაწილეებს გააცნეს კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში თავისუფალი გადაადგილების პრაქტიკა და ხაზი გაუსვეს ნები-სმიერ ვითარებაში ჰუმანიტარული საქმიანობისა და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის აუცილებლობას“.<sup>29</sup>

ოფიციალური განცხადებების გარდა გამყოფ ხაზზე მიმდინარე პროცესების შესახებ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს კომენტარების გაკეთება უნევდათ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე – მის ფარგლებს გარეთ. თბილისის ოფიციალური პოზიციით, მავთულხლართების გავლება საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის უხეში დარღვევაა და ეწინააღმდეგება 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც რუსეთის ჯარი ომამდელ პოზიციას უნდა დაბრუნებოდა.<sup>30</sup> ამასთანავე ეს ქმნის ხელოვნურ ბარიერებს ხალხთა შორის ურთიერთობებში და დამატებით ჰუმანიტარულ პრობლემებს, რომლებიც გამოიხატება მოსახლეობისთვის საკუთარების უფლების ხელყოფასა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვაში, სასოფლო სამეურნეო მიწებით სარგებლობისა და ეკონომიკური აქტივობის თავისუფლად წარმოებისთვის ხელის შეშლაში, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შეზღუდვასა და სხვა სოციალური და პოლიტიკური უფლებების დარღვევაში. თბილისი მიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაცია, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტური კონტროლის განმარტოვებული ძალა, პასუხისმგებელია, დაიცვას ოკუპირებულ ზონაში მცხოვრები ადამიანების ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები.

ოფიციალური პოზიციის გაჟღერების პარალელურად, საქართველოს ხელისუფლებას, ბუნებრივია, უნევდა მოსახლეობისა და ოპონენტების წინაშე შექმნილი ვითარების კომენტირება/ინტერპრეტირება. ქართულ-რუსული ურთიერთობების ბოლოდროინდელი დინამიკის ფონზე გამყოფ ხაზზე მიმდინარე „დემარკაციის“ პროცესი იმდენად ატოპიურია, რომ მისი ინტერპრეტირება და რაიმე ფორმით ახსნა ობიექტურად, თითქმის, შეუძლებელია. მითუმეტეს, საქართველოს ხელისუფლებას ამის გაკეთება უნევდა მაშინ, როდესაც მისი ოპონენტები რუსეთთან დიალოგის დაწყებას და ურთიერთობის მონესრიგების მცდელობას მიიჩნევენ არასწორ და უპერსპექტივო პოლიტიკურ ნაბიჯად და სწორედ ასეთი კონსტრუქციული პოლიტიკით ხსნიან ე.წ. მავთულხლართების პოლიტიკას რუსეთის მხრიდან.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პროცესის ნეიტრალიზებისთვის საქართველოს ხელისუფლებას ქმედითი ინსტრუმენტი პრაქტიკულად არ გააჩნია. რეალურად, ეს არის 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დამდგარი საოკუპაციო ღონისძიებების ერთ-ერთი ნაწილი. შესაბამისად, მისი დაკავშირება საქართველოს ახალი ხელისუფლების პოლიტიკასთან – არგუმენტაციას მოკლებული პოლიტიკური სპეკულაციაა. ხელისუფლების ხელში არსებული ერთადერთი საშუალება პროცესის კორექტირებისთვის გახლდათ რუსული და ოსური მხარეების მიერ შემოთავაზებულ მოლაპარაკებებში ჩართვა, თუმცა ეს, ფაქტობრივად, საზღვრის ლეგიტიმაციას ნიშნავდა. „სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არანაირი საზღვარი არ გადის. იქ მხოლოდ გამყოფი ხაზებია და ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ჩავერთვებით იმ თამაშში, რასაც რუსეთი აწყობს. მათ შეიძლება 400 და 500 მეტრიც კი დაგვითმონ, ოღონდ საქართველოს ხელისუფლება ჩაითრიონ ამ მოლაპარაკებებში“,

<sup>28</sup> საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება:  
[http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=59&info\\_id=16336](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=59&info_id=16336)

<sup>29</sup> საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 25-ე რაუნდთან დაკავშირებით [http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=59&info\\_id=16884](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=59&info_id=16884).

<sup>30</sup> საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 6-06-2013 [http://un.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=149&info\\_id=19004](http://un.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=149&info_id=19004)

განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში<sup>31</sup> (2014 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში).

წინამდებარე კვლევის ერთ-ერთ ავტორთან ინტერვიუში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი ე.წ. დემარკაციის პროცესის გააქტიურებას 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ რამდენიმე მიზეზით ხსნის. ა) ახალი ხელისუფლების კონსტრუქციული პოლიტიკის და მისი მოთმინების გამოცდა; ბ) ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოქალაქეების „ჩაკეტვა“. გ) წინასააჩვენო დღის წესრიგის შექმნა წინო ბურჯანაძისთვის.

მართლაც, ექსპერტთა საერთო შეფასებით, საქართველოს ახალი ხელისუფლების პოლიტიკა კონფლიქტების მიმართულებით არსებითად შეიცვალა. თბილისმა დე-ფაქტო ხელისუფლებებთან პირდაპირი დიალოგისთვის მზადყოფნა გამოთქვა, დაიწყო ოსი ეროვნების პატიმრების გათავისუფლების პროცესი, შეწყდა გალის რაიონის მიმართულებით პროვოკაციული ქმედებები და სხვა.<sup>32</sup> განსაკუთრებით აღსანიშნავია პარლამენტის მიერ 2013 წლის 7 მარტს მიღებული რეზოლუცია „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“.<sup>33</sup> დოკუმენტის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ საქართველო ერთგული რჩება პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ 2010 წლის 23 ნოემბერს აღებული ვალდებულებისა ძალის გამოუყენებლობის შესახებ. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სულ უფრო მცირდება თბილისის, როგორც მთავარი საფრთხის, აღქმა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს არ უტოვებს სხვა საშუალებას, გარდა დანარჩენ საქართველოსთან მჭიდრო სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კავშირებისა. ხსენებული ორი ფაქტორის გამო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების მოძრაობა თბილისის მიმართულებით გაიზარდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მედიაში გავრცელებული (რომელიც თავის მხრივ შესაბამისი უსაფრთხოების სამსახურების მასალას ეყრდნობა) ინფორმაცია, 2013 წლის ბოლოს „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდებით დაკავებული მოქალაქეების შესახებ: სულ დაკავებულია 39 ადამიანი, აქედან 25- დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის, 5 – რუსეთის ფედერაციისა და 9 – საქართველოს მოქალაქეა<sup>34</sup>. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი კვლევის ავტორთან ინტერვიუში აცხადებს, რომ ხსენებული მონაცემები არის მრავლისმეტყველი და იმ შემთხვევაში, თუ თბილისი სამშვიდობო პოლიტიკას თანმიმდევრულად განაგრძობს – ეს ტენდენცია შეუქცევადი გახდება. „მოთმინებისა და თანამიმდევრულობის სტრატეგიის“ კონტექსტშია განსახილველი ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის კომენტარი: „მომავალშიც იქნება, ჩემი აზრით, ასეთი კაზუსები ურთიერთობებში, მთავარია, სტრატეგია არ დავარღვიოთ. მოთმინებით, მტკიცედ, პრინციპულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მოვახერხებთ და დავალაგებთ ჩვენს დიდ მეზობელთან ურთიერთობებს<sup>35</sup>“ და საქართველოს ხელისუფლების გადანყვეტილებაც, მიუხედავად არა პოპულარულობისა, დათანხმებოდა სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას.

ამით თბილისმა საკუთარ სტრატეგიაში თანმიმდევრულობის დემონსტრაცია მოახდინა და დროებით „ფრჩხილებს გარეთ გაიტანა“ გამყოფ ხაზზე მიმდინარე პროცესები ქართულ-რუსული დიალოგიდან. ეს არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს „ნითელ ხაზებზე“ უარის თქმას, ვინაიდან თბილისი ჯერ კიდევ ხედავს ურთიერთობის ნორმალიზების პერსპექტივებს და ცდილობს, ეს საკითხი არ აქციოს პროცესის მთავარ წინაღობად. თბილისმა ამ პრაგმატული გადანყვეტილებით ისე, რომ ჩრდილი არ მიუყენებია საკუთარი ეროვნული ინტერესებისთვის (ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი), მთელი პასუხისმგებლობა ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზების მომავალზე – მოსკოვს დააკისრა. რამდენად თანმიმდევრული და გულწრფელია რუსეთი თავის სურვილში, დაალაგოს ურთიერთობა საქართველოსთან, გამყოფ ხაზზე არსებული ჰუმანიტარული და პოლიტიკური საკითხების მიმართ მის დამოკიდებულებაში გამოჩნდება საშუალოვადიან პერსპექტივაში.

<sup>31</sup> ზაქარეიშვილი: თქვენ გინდათ, რომ 200–300 მეტრის გამო გამოვუცხადოთ რუსეთს ომი? <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/20061/>.

<sup>32</sup> Crisis Group Europe Report No 224, “Abkhazia: The Long Road to Reconciliation,” 10 April 2013

<sup>33</sup> რეზოლუციის სრული ტექსტი იხილეთ: Принятая по обоюдному согласию резолюция по внешней политике <http://civil.ge/rus/article.php?id=24539>.

<sup>34</sup> Пограничники Южной Осетии задержали десять нарушителей границы в период с 13 по 27 декабря <http://www.georgiatimes.info/news/97955.html> იხილეთ აგრეთვე: За нарушение границы в Южной Осетии задержаны трое граждан Грузии <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/237188/>.

<sup>35</sup> „ივანიშვილი: რუსეთისგან გადანყვეტ ნაბიჯებს არ ველოდები“ <http://www.civil.ge/geo/article.php?id=27095>.

### ბ) სამართლებრივი განზომილება

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ე.წ. „ახალ რეალობას“ რეგიონში. ქართული მხარე, რუსულისგან განსხვავებით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს განიხილავს ოკუპირებულ ტერიტორიებად.

1907 წლის ჰააგის რეგულაციების 42-ე მუხლის თანახმად, ასევე ჟენევის 1949 წლის კონვენციისა და აღნიშნული კონვენციის პირველი დამატებითი პროტოკოლის (1977 წ.) თანახმად, ტერიტორია შეგვიძლია მივიჩნიოთ ოკუპირებულად, როდესაც მასზე კონტროლს ამყარებენ მტრულად განწყობილი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები. ოკუპაციის დასადგენად აუცილებელია არსებობდეს ორი ძირითადი პირობა: 1. მტრული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების არსებობა კონკრეტულ ტერიტორიაზე; 2. მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ეფექტური კონტროლი.

ზემოთ მოყვანილი საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციების საფუძველზე ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას, შესაბამისად, იქ რუსეთის ფედერაციის ეფექტური კონტროლის არსებობას ადასტურებს საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია Human Rights Watch, თავის ანგარიშში „Up In Flames“<sup>36</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტით, ადამიანის უფლებათა დარღვევის ნებისმიერ ფაქტზე, თუნდაც, ის ჩადენილი იყოს დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან, პასუხისმგებლობა სწორედ რუსეთის ფედერაციას ეკისრება<sup>37</sup>. რუსეთის ფედერაცია, როგორც ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფო, რომელიც მიერთებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციას ვალდებულია, როგორც სამხრეთ ოსეთის, ისე აფხაზეთის რეგიონში შექმნას ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტებით დადგენილი პირობები.

ე.წ. „საზღვრის დემარკაციით“ რუსეთის ფედერაცია უხეშად არღვევს 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია), რომლის ერთ-ერთ მონაწილესაც თავად წარმოადგენს, როგორც ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფო. უპირველეს ყოვლისა დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1952 წლის 20 მარტის დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცული საკუთრების უფლება. ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ფაქტობრივად აღარ აქვთ მათ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლებით, მიწის ნაკვეთებით და სხვა მატერიალური სიკეთეებით სარგებლობის საშუალება.

ხელოვნურმა საზღვრებმა ფაქტობრივად მოსპო ადამიანის პირადი ცხოვრების ნორმალური წარმართვისთვის აუცილებელი საკომუნიკაციო საშუალებები, რაც არც მეტი არც ნაკლები, გახლავთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის ხელყოფა.

სოფელ დიციში ადგილობრივი მოსახლეობისთვის სასაფლაოზე მისვლის საშუალების მოსპობა, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით დაცული სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. გარდაცვლილთა სულებზე ზრუნვა ნაწილია ქრისტიანული რელიგიისა, რომელსაც გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს. შესაბამისად ოკუპირებულ ტერიტორიაზე სასაფლაოების მოქცევა ამ ადამიანებს ფაქტობრივად უსპობს საშუალებას შეასრულონ რიტუალები მათი მრწამსის, ტრადიციების და კულტურის შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევა გარკვეულწილად განაპირობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1963 წლის 16 სექტემბრის მეოთხე დამატებითი ოქმის მეორე მუხლით დაცული გადაადგილების თავისუფლების არამართლობიერმა შეზღუდვამ. გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის ფონზე აქტუალურია საქართველოს მოქალაქეთა უკანონო დაკავების საკითხი.

საქმეთა შესწავლამ ცხადყო, რომ ამ დაკავებულთა მიმართ დაირღვა ადამიანის უფლება-

<sup>36</sup> (2009). *Up In Flames, Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia*. New York: Human Rights Watch.

<sup>37</sup> საია. (2013, June 13). *www.gyla.ge*. Retrieved February 4, 2014, from საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საოკუპაციო ხაზის გასწვრივ განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება: <http://gyla.ge>.

თა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლები, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს ერთი მხრივ, პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, კრძალავს მის დაკავებას სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და მოითხოვს შესაბამისი პროცედურების დაცვას, მეორე მხრივ კი, ნებისმიერ ადამიანს ანიჭებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. საქართველოს მოქალაქეთა დაკავების შემთხვევებში არ არსებობდა მათი დაკავების არანაირი კანონიერი საფუძველი, ისევე როგორც არ იქნა უზრუნველყოფილი მათი სამართლებრივი დაცვის შესაბამისი გარანტიები.

## დასკვნის მაგიერ

შექმნილი რეალობა, ე.წ. „წითელი ხაზების“ გათვალისწინებით, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას დიალოგისთვის დიდი მოქნილობის საშუალებას არ უტოვებს. მოცემული ნაშრომის ავტორები აცნობიერებენ, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობები დამოკიდებულია უამრავ სხვა ფაქტორზეც, რომელთა ანალიზიც ცდება წინამდებარე კვლევის მიზნებს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ მოცემულ ეტაპზე განსაკუთრებით მგრძობიარე საკითხი, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოსა და რუსეთს შორის ბოლო დროს დაწყებული ურთიერთობის მონესრიგების პროცესს, გახლავთ „გამყოფ ხაზზე“ არსებული ვითარება. ე.წ. საზღვარზე მიმდინარე „სადემარკაციო სამუშაოები“ სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც თბილისის და მოსკოვის მიერ შეთანხმებული კონცეფცია, ერთმანეთისგან გამიჯნონ პოლიტიკური და ჰუმანიტარული საკითხები, არ მუშაობს. ერთი მხრივ, რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საკუთარი ვალდებულების შესრულებას, უზრუნველყოს მის მიერვე აღიარებული რესპუბლიკების უსაფრთხოება, მეორე მხრივ, საქართველო არ აპირებს ე.წ. ახალი რეალების ცნობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, მიუხედავად სერიოზული დისკომფორტისა, „გამყოფ ხაზზე“ შექმნილი ვითარება არ აქცია იმ ბარიერად, რომელიც რუსეთის ფედერაციასთან 2012 წლის ოქტომბრის შემდგომ დაწყებული ურთიერთობის ნორმალიზების პროცესს შეაჩერებდა. ამით თბილისმა პროცესის მომავალ დინამიკაზე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა მოსკოვის მხრებზე გადაიტანა. რუსეთის მხრიდან ამ პასუხისმგებლობის გაცნობიერების ემპირიული დადასტურება, შესაძლოა, იყოს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ გამოთქმული მზაობა, სურვილის შემთხვევაში, შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს. გარდა ამისა, თბილისი აგრძელებს სამშვიდობო პოლიტიკასა და კონსტრუქციულ მიდგომებს ცხინვალისა და, ზოგადად, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიმართ. ამ ფონზე რუსეთის მიერ შემოთავაზებული მავთულხლართების პოლიტიკა გრძელვადიან პერსპექტივაში, მისთვისვე ხდება კონტრპროდუქტიული, სულ ცოტა, ორი თვალსაზრისით: 1) ის კარგავს შესაძლებლობას, დააღაგოს ურთიერთობა საქართველოსთან, სამხრეთ მეზობელთან, რომელსაც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა უკავია და ესაზღვრება რუსეთის ყველაზე მონყვლად რეგიონს – ჩრდილოეთ კავკასიას; 2) მავთულხლართების ბარიერებით აფერხებს რა სამხრეთელი ოსების ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შესაძლებლობას, რუსეთი უსაფრთხოების მთავარი კონტრიბუტორიდან, განვითარების მთავარ შემაფერხებლად ყალიბდება მათ თვალში. ამიტომ შექმნილი ვითარება რუსეთის ფედერაციისგან მოითხოვს ადეკვატურ ნაბიჯებსა და მიდგომების კორექტირებას.

კვლევის ავტორებს, ცხადია გვესმის, რომ ზემოთ აღწერილი ტენდენცია, ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს, რაიმე გაუთვალისწინებელი ფაქტორის გამო. თუმცა ვაცნობიერებთ რა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მონესრიგების მნიშვნელობას, მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს ჩიხური ვითარება შეიძლება გახდეს „ჰუმანიტარული“ თემებიდან „პოლიტიკურ“ საკითხებზე დიალოგის გაგრძელების წინაპირობა. ამისთვის კი, შესაბამის პლატფორმად შეიძლება იქცეს ორი ქვეყნის ლიდერის შეხვედრა.

## ПРЕДИСЛОВИЕ

Учитывая конфликтную ситуацию между Россией и Грузией, с 2011 года «Центр культурных взаимосвязей – Кавказский дом» начал активную работу в направлении построения мира между грузинским и российским обществами.

Этот процесс объединяет несколько компонентов, в том числе, исследования молодых грузинских и российских аналитиков, рабочие визиты в Грузию и Российскую Федерацию, встречи и семинары с участием представителей государственных структур и экспертных кругов обеих стран, создание совместной веб-страницы и т.д.

В 2013 году, в рамках проведенных исследований было подготовлено два политических документа, более десятка статей и издан совместный грузино-российский аналитический бюллетень. (Ознакомиться с материалами можно здесь: [www.regional-dialogue.com](http://www.regional-dialogue.com)).

Данная публикация является продолжением указанного процесса и подготовлена в рамках проекта «Грузино-российский диалог для мира и сотрудничества», который осуществляется при финансовой поддержке «Фонда превенции конфликтов» министерства иностранных дел Великобритании.

В исследовании анализируется одна из наиболее проблемных сфер грузино-российских отношений – ситуация на разделительной (оккупационной) линии и связанные с этим политические, правовые и гуманитарные вопросы.

**Данное исследование издается в рамках проекта «Грузино-российский диалог для мира и сотрудничества». Проект осуществляется при финансовой поддержке министерства иностранных дел Великобритании в рамках программы «Фонд урегулирования конфликтов».**





Публикация не выражает позиции правительства Великобритании  
Содержание публикации отражает персональную позицию автора

## ДИНАМИКА ГРУЗИНО-РОССИЙСКИХ ОТНОШЕНИЙ ПОСЛЕ ОКТЯБРЯ 2012 ГОДА

После октябрьских парламентских выборов 2012 года в Грузии, к власти пришла новая правящая сила - коалиция «Грузинская мечта», которая заявила одной из своих внешнеполитических целей нормализацию российско-грузинских отношений.

Сразу же после формирования правительства, коалиция приступила к осуществлению соответствующих шагов как на символическом, так и практическом уровне.

